მემკვიდრეობა

სამსონ ფირცხალავა •
ისტორიის პატივისცემა

ოდესღაც ი. წერეთელმა სთქვა წარსული მეზიზღებაო, რამდენად ამ სიტყვებში დაპირისპირებაა ისტორიული მსვლელობის სხვადასხვა ეტაპის, პირვანდელის და მერმინდელის, გუშინდელის და დღევანდელის, ამდენად იგი სიმართლეს შეიცავს იმ მხრივ, რომ ცხოვრება ვითარდება, წარსულის ბევრს სიბოროტეს დღეს ადგილი აღარა აქვს, დღეს უკეთესობაა და ამიტომ შეგვიძლია წარსულს აწმყო ვამჯობინოთ. თუმცა ვერავინ იტყვის, რომ დღევანდელი ყოველთვის და ყოველ გარემოებაში სჯობია გუშინდელს. მაგალითად რომ მოხდეს კატასტროფა და დენიკინის რეაქციამ ხელიდან გამოგვგლიჯოს დამოუკიდებლობა, განა მაშინდელი დამონება უკეთესი იქნება დაკარგული, გარდასრული დამოუკიდებელ არსებობისა?..

მაგრამ ამ თვალსაზრისით არ გვაინტერესებს ი. წერეთლის ნათქვამი. ამ ჟამად ჩვენთვის საგულისხმოა ეს უფრო სხვა მოსაზრებით. ზემოთ მოყვანილი სიტყვები მეტად დამახასიათებელია მთელი ჩვენი ეროვნული შემეცნების, პოლიტიკური განცდის. შეიძლება მათი მთქმელი ძალიან ცდილობდა მაშინ ერთიან დაშორებოდა მშობელი ერის ისტორიას, სავსებით მოწყვეტილიყო ყველაფერს იმას, რასაც კი ოდნავადაც ახასიათებს ეროვნება, ნაციონალური ბუნება. მაგრამ მისდა უნებურად ბ. ირაკლი იმ სიტყვების თქმის დროს იყო ნამდვილი ხორცი ხორცისა და სისხლი სისხლისა თავის ერის და თავის სიტყვებში უაღრესად გამოხატა არსება ქართველი ერის სულიერობისა: ამ შემთხვევაში იგი ყველაზე უფრო ეროვნულ ნიადაგზე იდგა და უდიდესი ნაციონალისტი იყო და მისი ნაღვლი-

---

• სამსონ ფირცხალავა (1872-1953) - პუბლიცისტი და პოლიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი.

ანი ამოკვნესა გამოსთქვამდა მთელი მშობელი ხალხის ღრმა ტკივილს და სიმწარეს. მთელი ერი განიცდიდა მაშინ სრულს უნდობლობას საკუთარი თავის, საკუთარი პიროვნებისადმი, მთელი ერი იყო ურწმუნო ეროვნულად, თუ შეიძლება ეგრე ითქვას და ბ. წერეთელმა გაბედულად გულახდილად სთქვა ის, რასაც სხვები ჰგრძნობდნენ, ხოლო ვეღარ ამბობდნენ, ეროვნული ინდიფერენტიზმი, სრული უპატივცემულობა ეროვნულ შემოქმედების, ძალების, გარდასულ მოღვაწეობის ახასიათებდა მთელს მაშინდელ ცხოვრებას და ი. წერეთლის წამოძახილი იყო სიტყვები ერის ღვიძლი შვილისა.

მთელი ქართველი ერის ამნაირ სულიერ განწყობილებას, ეროვნულ ანტინაციონალიზმს თავისი ღრმა მიზეზები აქვს. რასაკვირველია, არა მარტო რუსობის დროს ვიყავით დამონებულნი. წინადაც მეტწილად ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობა დაშლილი იყო სპარსელებისა და ოსმალოებისაგან, და ჩვენს სამეფოებსა და სამთავროებს საკუთარი ნებისყოფა არ ჰქონდათ, დამოუკიდებლობას ვერაფერში ანხორციელებდნენ, ყოველთვის სხვისი ბრძანების ქვეშ იმყოფებოდნენ. ამ გარემოებამ ბუნებრივად ჩაჰკლა ერში სული საკუთარი შემოქმედების, როდესაც ხალხი მუდამ სხვისი გზით დადის, სხვისი კარნახით მოქმედობს, სხვისი გონებით და კულტურით საზრდოობს, ხედავს, რომ მისი ყველაფერი აბუჩად აგდებული და დევნილია, ღირსება და პატივაყრილია, - ძალა უნებურად ჰკარგავს თავის თავის რწმენას და იმას დაასკვნის, რომ კარგია და მოსაწონი მხოლოდ ის, რასაც არ აზის ბეჭედი და ნიშანი მისი ეროვნების...

მეოცე საუკუნის დასაწყისში დიდი ცვლილება მოხდა ამ მხრივ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ერის ფსიქიკა გადატყდა რაოდენიმედ და მსოფლიო ომის და რუსეთის რევოლიუციის პროცესით დაგვირგვინდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით, ეროვნულ სუვერენობის აღდგენით. უნდა ითქვას მართალი, რომ ჩვენ სავსებით არ ვიყავით ამისათვის მომზადებულნი, ნი-

ადაგი არ იყო ისე გაპოხიერებული, როგორც შეეფერებოდა საკუთარ სახელმწიფოებრივობის აღმოცენებას. არ უარვყოფთ ეროვნულ გათვითცნობიერებისათვის გაწეულ მუშაობის მნიშვნელობას. ხოლო რომ ეს მუშაობა არ იყო საკმარისი და ჩვენი ეროვნული პიროვნება მთლად განწმენდილი მონობის განცდათაგან, ამას ნათლად ვხედავთ აწინდელი ცხოვრების მრავალ მოვლენაში. დღესაც, როდესავ საკუთარი სახელმწიფო გვაქვს და დამოუკიდებლობის აუცილებლობა უთუოა, ხშირად წარმოვიდგენთ ჩვენს თავს ქართველი ერის ისტორიის გარეშე, არ გვინდა გავიხედოთ წარსულისაკენ, თითქოს ვფიქრდეთ, რომ საქართველო ჩვენ დავიწყეთ, ქართული კულტურა ჩვენ შევქმენით. დღესაც გვემჩნევა იგივე ეროვნული ურწმუნობა, უნდობლობა საკუთარი ეროვნების, ეროვნული შემოქმედების და ეს გარემოება აუცილებლად აფერხებს ჩვენს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და განვითარებას.

რასაკვირველია ჩვენს ისტორიას ყველაფერი კარგი არ დაუტოვებია ჩვენთვის, ჩვენს ეროვნებაში ყველაფერი მოსაწონი და სასახელო არაა, მაგრამ ეს სრულებით იმას არ გვეუბნება, რომ ჯვარი გადაუსვათ მთელს ჩვენს ისტორიას და არ ვიყოთ გამსჭვალულნი ღრმა რწმენით და პატივისცემით საკუთარ ეროვნებისა და შემოქმედებისადმი, ურომლისოდ შეუძლებელია რაიმე დაწინაურება, არამც თუ სახელმწიფოებრივი არსებობისა.

„სახალხო საქმე“, 1919 წ. 26 ოქტომბერი, N 663, გვ.1.